პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 25 ივნისი, 1942 წ. № 148 (6464). ფასი 15 კაპ.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის ერთი წლის შედეგები

ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხი აღსდგა თავისი ქვეყნის, თავისი თავისუფლების, ღირსებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად, აღსდგა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ახლა შეჯამებულია ბრძოლის ამ პერიოდის შედეგები. ისინი გადმოცემულია დოკუმენტში, რომელიც გუშინ გამოაქვეყნა საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ შემდეგი სათაურით: „სამამულო ომის ერთი წლის პოლიტიკური და სამხედრო შედეგები".

ეს შედეგები ფაქტების მთელი დამაჯერებლობით მოწმობენ იმას, რომ ჩვენ გამარჯვების გზაზე ვიმყოფებით, რომ შექმნილია ყველა წანამძღვარი, რათა საძულველი მტერი განადგურებულ იქნას მიმდინარე, 1942 წელს.

ამ წლის განმავლობაში საბჭოთა ხალხმა ეკლიანი, ძნელი გზა განვლო. მტერი მოემზადა, მოახდინა თავისი არმიის მობილიზაცია, შეაგროვა მთელი თავისი ძალები, მუხანათურად, ქურდულად დაატყდა თავს საბჭოთა მიწა-წყალს. ვარაუდი ემყარებოდა უეცარ დარტყმას, საბჭოთა ფრონტისა და ზურგის „ელვისებურ" განადგურებასა და დაშლას. გერმანელმა ფაშისტმა ყაჩაღებმა საბჭოთა კავშირზე თავ-

...

უჯდება ჰიტლერის ავანტიურა. ჰიტლერს არც ერთი თავისი დაპირება არ შეუსრულებია. იგი მთელი მსოფლიოს წინაშე წარსდგა როგორც უკანასკნელი მკვეხარა და მატყუარა. გერმანელი ხალხის წინაშე დამარცხების გარდუვალი პერსპექტივა ისახება. საკვირველი არაფერია იმაში, რომ გერმანიის არმიის ზურგი იშლება. ევროპაში ჰიტლერის მიერ დამონებული ხალხები აძლიერებენ თავიანთ ბრძოლას გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ. „დამონებულ ხალხთა ბრძოლა გერმანელი ფაშისტი ყაჩაღების რეჟიმის წინააღმდეგ საყოველთაო ხასიათს იღებს. ყველა ოკუპირებულ ქვეყანაში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა საბოტაჟი სამხედრო ქარხნებში, გერმანელთა საწყობების აფეთქება, გერმანელთა სამხედრო ეშელონების მარცხის მოწყობა, გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების დახოცვა. მთელ იუგოსლავიას და გერმანელების მიერ დაკავებულ საბჭოთა რაიონებს მოდებული აქვს პარტიზანული ომის ხანძარი.

ყველა ამ გარემოებამ გამოიწვია გერმანელთა ზურგის დასუსტება, და, მაშასადამე, მთლიანად ფაშისტური გერმანიის დასუსტებაც" (სტალინი).

...

დავენ, რომ ისინი მოტყუებისა და უხეში მოღორების მსხვერპლი გახდნენ. ომი აუტანელ ტვირთად დააწვა გერმანელ ხალხს, რომელსაც მილიონობით მოკლულად და დაჭრილად

...

ჰიტლერის იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი განმათავისუფლებელი სამამულო ომის ერთი წლის შედეგები.

„პრავდის" მოწინავე, 24/VI.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

ვიბრძოლოთ მაღალი სამხედრო მოსავლის მისაღებად

მაღალი სამხედრო მოსავლისათვის

მცხეთის რაიონის კოლმეურნეები თავდადებულად იბრძვიან ამხანაგ სტალინის მოწოდების განსახორციელებლად.

რაიონის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების თესვის გეგმები. გაზაფხულის ხორბალი დათესილია 85,5 ჰექტარი, რაც გეგმის 105,5 პროცენტს შეადგენს. გაზაფხულის ქერი—1.170 ჰექტარი (გეგმის 122,2 პროცენტი) და სიმინდი—1.836 ჰექტარი (გეგმის 109,8 პროცენტი).

მარცვლეულის საგაზაფხულო თესვასთან ერთად უზრუნველყოფილ იქნა ქარისაგან დაზიანებული შემოდგომის ნათესების აღდგენა.

წარმატებით მიმდინარეობს ბოსტნეული

...

მცხეთის რაიონის კოლმეურნეები ჩაებნენ სრულიად-საკავშირო სოცშეჯიბრებაში უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. სოფ. ნიჩბისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. გ. კვერცხიშვილი), რომელმაც რაიონში პირველად შეასრულა საგაზაფხულო თესვის გეგმები, ვალდებულება აიღო გეგმის გადამეტებით მარცვლეული კულტურები დათესოს 16 ჰექტარზე, გაადი-

...

შრომებს. კოლმეურნეობამ ძმური დახმარების ფონდისათვის დათესა 2 ჰექტარი მარცვლეული კულტურები.

სოფელ ერედის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ, რომლის თავმჯდომარეა ამხ. პ. ზაქაიძე, დროულად და გადაჭარბებით შეასრულა საგაზაფხულო თესვის გეგმები. კოლმეურნეობამ 29 ჰექტარი ქერი დათესა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 ჰექტარისა, სიმინდი—24 ჰექტარი, ნაცვლად 17 ჰექტარისა, კარტოფილი—8 ჰექტარი (გეგმის 100 პროცენტი), კიტრი — 6 ჰექტარი (გეგმის 150 პროცენტი) და ა. შ.

ამჟამად რაიონში გაძლიერებული ტემპებით მიმდინარეობს ნათესების მარგვლა და მწკრივთშორისი დამუშავება დაიწყო თივის აღება. უკვე აღებულია თივა 34.5 ჰექტარზე. რაიონის კოლმეურნეობები ემზადებიან 1942 წლის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

მცხეთის რაიონის კოლმეურნეები დაუღალავად მუშაობენ, რომ დაეხმარონ წითელ არმიას, მისცენ ჩვენს ქვეყანას მეტი პური, ხორცი, ბოსტნეული და ნედლეული მრეწველობისათვის.

მ. ქართველიშვილი

საქ. კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის მდივანი.

უხვი მოსავლისათვის

ზესტაფონი („კომუნისტის" კორ.). ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეები თავდადებულად მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებში. ისინი პირნათლად ასრულებენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. პირველი მარგვლა უკვე დაამთავრა სოფ. პირველი მაისის კოლმეურნეობამ. აქ ნათესების მეორედ დამუშავება დაიწყეს.

განსაკუთრებული წარმატებით მუშაობს სოფ. კინოთის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა. მას გამოცდილი და შრომისმოყვარე მეურნე ამხ. გ. ძაბირაძე ხელმძღვანელობს. აღსანიშნავია, რომ იგი კოლმეურნეობას მისი დაარსებიდან—11 წლის მანძილზე უძღვება. კოლმეურნეები წარმატებით ასრულებენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. ბრიგადირი ამხ. გ. ავალიანი თავდადებულად

...

მესაქონლეობის ფერმა კარგად მუშაობს. წველადობა თითოეულ ძროხაზე 800 ლიტრამდე გადიდდა, ნაცვლად 700 ლიტრისა.

გამომუშავების ნორმებს 200-250 პროცენტით ასრულებენ სტახანოველი კოლმეურნეები ამხ. ს. ძაბირაძე, ა. ზარნაძე, ლ. ჩინჩალაძე, მ. ჯანიაშვილი. წარმატებით მუშაობენ ქალები. მათ რიგებს ამხ. ლ. ძაბირაძის, ო. ოსაძის, მ. ზარნაძის, ნ. ჯანიაშვილის სახით ახალი სტახანოველები შეემატნენ. მათ შესცვალეს ფრონტზე წასული მამაკაცები და დავალებებს 200 და მეტი პროცენტით ასრულებენ. შრომითი მამაცობის საუკეთესო ნიმუშებს გვიძლევენ მოზარდები ამხ. თ. ძაბირაძე, მ. აბაშიძე, შ. ზარნაძე.

ზესტაფონელი კოლმეურნეები იბრძვიან მა-

...

ემზადებიან მოსავლის ასაღებად

თეთრიწყარო („კომუნისტის" კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა მიმდინარე წელს გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო თესვის გეგმა.

კოლმეურნეობა „პუტ კრესტიანინას" წევრთა მიმართვის საფუძველზე რაიონის კოლმეურნეობები ერთსულოვნად ჩაებნენ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ენერგიულად მოჰკიდეს ხელი საგაზაფხულო ნათესების მოვლას. სოფ. ლიუბნის

...

მოსავლის აღებისათვის სამზადისს ადრე მოჰკიდა ხელი ასურეთის მტს-მა. მტს-ის ყველა ტრაქტორი, კომბაინი და სალეწი მანქანა შეკეთებულია. დ. თონეთის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ამხ. შ. თაქთაქიშვილი) შეკეთებული აქვს სალეწი მანქანა, 3 ტრაქტორი და სამკელი მანქანა, შეძენილი აქვს საწვავ-საცხები მასალა ლეწვის მთელი პერიოდისათვის.

ქალთა შრომის მაქსიმალურად გამოყენები-

...

მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი ჩაი

...

რის ყველა მშრომელთან ერთად ჩაებნენ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა გასულ წელს ბაიხის ჩაის გამოშვების გეგმა 118,8 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით ფაბრიკამ მიიღო 664 ათასი მანეთი სამრეწველო დაგროვება. პროდუქციის თვითღირებულება გეგმით გათვალისწინებული 6 პროცენტიდან 19 პროცენტამდე შევამცირეთ.

ფაბრიკის ეს წარმატებები უზრუნველჰყო ჩვენი კოლექტივის, მისი მოწინავე ადამიანების მ. ივასენკოს, შ. კუჩერენკოს, კ. გოგორჩნას, ა. კოლომიჩუკის, მ. ბაევას, დ. მუკაიდის, დ. ტოლსტიკის, ლ. ჩხარტიშვილას, ბ. სამსონიას, ა. მიხაილოვას და ი. ზაბოლოტინის სტახანოვურმა მუშაობამ.

ჩავებით რა სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

...

ქართველოს ჩაის" და ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ახლა ვკისრულობთ ვიმუშაოთ კიდევ უფრო უკეთესად, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ შეჯიბრების პირობები.

მოვუწოდებთ საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ჩაის ფაბრიკის მუშებსა და მუშაქალებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს ჩაებან სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიაღწიონ 1942 წელს ჩვენი პროგრამის გადაჭარბებით შესრულებას ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ახალი შრომითი გმირობით ვუპასუხოთ ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებას, მოვიპოვოთ პირველობა შეჯიბრებაში, დავეხმაროთ წითელ არმიას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საბოლოო განადგურებაში 1942 წელს.

ტრესტ „საქართველოს ჩაის" მამათის ჩაის ფაბრიკის კოლექტივის დავალებით: ფაბრიკის დირექტორი **გეგეჭკორი**, უფროსი ტექნოლოგი **წილოსანი**, პარტორგანიზაციის მდივანი **გორდელაძე**, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე **ცინცაძე**, საქ. ალკკ კომიტეტის მდივანი **ჯაში**, უფროსი ტიტესტერი **ნიკოლაიშვილი**, მორიგე ტიტესტერი **ქინქლაძე**, ფაბრიკის სტახანოველები: **მუკაიდა, ზაბოლოტინი, კუჩერენკო, ბაევა, სტრელჩუკი, მიხაილოვა**.

შრომის ჩაის ფაბრიკაში

მახარაძის რაიონის შრომის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი ენერგიულად იბრძვის ჩაის მზა

...

ლებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

...

კარგად უვლიან ნათესებს

ტყიბული („კომუნისტის" კორ.). სრულიად-საკავშირო სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად, ტყიბულის რაიონის კოლმეურნეობები ახალ წარმატებას აღწევენ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფასა და ნათესების დამუშავების საქმეში.

ორ დეკადაში ჩაის ფოთლის კრეფის ივნისის გეგმა შეასრულეს — სოფ. ბზიაურის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ქათამაძე) 101 პროცენტით, სოფ. დაბაზველის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე იპ. გვენეტაძე) — 103 პროცენტით, სოფ. ცუცხვათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე რ. ალავიძე) — 109 პროცენტით, სოფ. წყალწითელას მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. კუბლაშვილი) 108 პროცენტით, სოფ. ხრესილის კოლმეურნეობა „წითელმა ბაღმა" (თავმჯდომარე ნ. ობოლაძე) — 126 პროცენტით, სოფ. ნაზვას ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვლ. ხუციბერიძე)—152 პროცენტით.

ნათესების დამუშავების საქმეში მოწინავეთა რიგებში არიან სოფ. მუხურის კიროვის სახელობის, სოფ. დაბაზველის ორჯონიკიძისა და წყალწითელის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობები.

დ. საბელაშვილი

მოსავალი ავიღოთ დროულად და უდანაკარგოდ

საჩხერე („კომუნისტის" კორ.). ჩაჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრეს უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი. ახლა რაიონში წარმატებით ემზადებიან თავთავიანი კულტურების ასაღებად.

მოსავლის ასაღებად მზად არიან სოფ. სარეკის ვოროშილოვის სახელობის, სოფ. პაირხის მახარაძის სახელობის, სოფ. მერჯევის ენგელსის სახელობის, სოფ. ჩიხის პირ-

...

კევრები, წესრიგში მოიყვანეს მარცვლის საწმენდი მანქანები, შეაკეთეს ბელლები, საბძლები, ურმები.

მაგრამ მოსავლის აღებისათვის სუსტად ემზადებიან სოფ. ორწულის ედანოვის სახელობის, სოფ. ცხომარეთის ბერიას სახელობის და სხვ. კოლმეურნეობები, რაც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

მოსავლის ვადაზე და უდანაკარგოდ აღება სერიოზული საქმეა. მას დაქვიანება არ ეჭ-

...

გეგმების შესრულება

სართიჭალის მტს-მა სატრაქტორო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა რბილ ხნვაზე გადაყვანით 20 ივნისისათვის 109.6 პროცენტით შეასრულა, მოხნულია 2.722 ჰექტარი.

ხვნაზე კარგად იმუშავა № 1 სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ა. ჩიკურაშვილი), რომელმაც მოხნა 894 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 450 ჰექტარისა, დათესა 1.088 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 850 ჰექტარისა, დაფარცხა 1.093 ჰექტარი, გეგმა კი 850 ჰექტარს ითვალისწინებს.

№ 2 სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ფ. შაბანოვი) მოხნა 563 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 250 ჰექტარისა, დათესა 610 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 500 ჰექტარისა.

მტს-ის მოწინავე ტრაქტორისტებმა მეძერიცკიმ, სასწრაფოშვილმა, მაგროვმა და სხვ. გადაჭარბებით შეასრულეს სატრაქტორო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა.

მტს-ი აწარმოებს საანეულო ხვნას და კულტივაციას.

სართიჭალის მტს-ის დირექტორი **ბელქანია**

პოლიტგანყოფილების უფროსი **ცაგარეიშვილი**

• • •

რუისის მტს-მა სატრაქტორო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა 20 ივნისისათვის 101 პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 5.870 ჰექტარის ნაცვლად დამუშავა 5.929 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაყვანით. საგაზაფხულო ხვნის გეგმა შესრულებულია 208 პროცენტით, ანეულის ხვნისა—249 პროცენტით. დაზოგილია 700 კილოგრამი საწვავ-საცხები მასალა.

მიმდინარეობს ანეულის დამუშავება და სათოხნი კულტურების კულტივაცია.

კარგად იმუშავა ნანიტაშვილის ბრიგადამ, რომელმაც ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 167 პროცენტით. ჯავახიშვილის ბრიგადამ გეგმა 116 პროცენტით შეასრულა.

რუისის მტს-ის დირექტორი **კოპაძე**

• • •

აჭარის ჩაის ტექნიკუმის მეურნეობამ ჩაის ... ჩაზარებული ფოთლიდან 88,9 პროცენტი ...

...

სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით დაჯილდოება

...

ბისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით: ლეიტენანტი ალფეს საბას-ძე **კაკულია**.

წითელი დროშის ორდენით: პოდპოლკოვნიკი გიორგი იაკობის-ძე **ფალია**, მაიორი მალხაზ ირაკლის-ძე **გოგიჩაიშვილი**, კაპიტანი კონსტანტინე მოსეს-ძე **პაპიაშვილი**, უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ ვარლამის-ძე **ნარჩემაშვილი**, ლეიტენანტი ბორის ილიას-ძე **ყიფიანი**, ლეიტენანტი ფედორე გერმანეს-ძე **კილურაძე**, უფროსი ექიმი ვალერიან დავითის-ძე **ძველია**.

წითელი ვარსკვლავის ორდენით: კაპიტანი კალისტრატე ელიზბარის-ძე **დალაქიშვილი**, უფროსი ლეიტენანტი

...

მესამე რანგის სამხედრო ექიმი ალექსანდრე ვალერიანის-ძე **ლეჟავა**.

მედლით „მამაცობისათვის": ლეიტენანტი აკაკი მიხეილის-ძე **გოჩიაშვილი**, ლეიტენანტი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ჭოხონელიძე**, მე-3 რანგის სამხედრო ექიმი ლადო თედორეს-ძე **ლომთათიძე**, უმცროსი ლეიტენანტი გიორგი ზაქარიას-ძე **მაისურაძე**, მე-2 რანგის სამხედრო ტექნიკოსი ალექსანდრე ივანეს-ძე **ტომარაძე**, უფროსი სერჟანტი გალაქტიონ სერგის-ძე **დოლიძე**, უმცროსი სერჟანტი დავით ტაბოს-ძე **ჯიქია**, წითელარმიელები რუბენ ონისიმეს-ძე **გოგობერიშვილი**, ვასილ რამანის-ძე **გოლოვაშვილი**, ხრისან შიოდის-ძე **ურიდია**, პლატონ დავითის-ძე **შენგელია**.

ქვემეხის მეთაური უმცროსი სერჟანტი შ. კოპაძე

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

სევასტოპოლთან ბრძოლებში თავი გამოიჩინა ქვემეხის მეთაურმა უმცროსმა სერჟანტმა შალვა კოპაძემ. კოპაძე ბატარიაში საუკეთესო მებრძოლად ითვლება. ერთ ბრძოლაში მისი ქვემეხის ზუსტად დამიზნების მეოხებით მოგერიებულ იქნა ფაშისტების იერიში და დამსხვრეულ იქნა ფაშისტების ნაღმსატყორცნი ბატარია. კოპაძე არმიაშია ომის პირველი დღეებიდანვე. იგი მუდამ მამაცურად იცავდა ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწა-წყალს. ჯერ კიდევ შარშან ივლისში კოპაძეს თავისი ქვემეხით არაერთხელ შეუჩერებია მტრის შემოტევა.

ერთხელ მოწინააღმდეგემ ორი ბატარიის ცეცხლი დაუშინა მის ქვემეხს, მაგრამ კოპაძე მტკიცედ განაგრძობდა მტრის მოსპობას და საცეცხლე პოზიციიდან მხოლოდ მას შემდეგ მოიხსნა, რაც ბრძანება მიიღო.

ფრონტის ყირიმის უბანზე ნოემბრის ბრძოლების დროს კოპაძე პირდაპირი დაშენით იგერიებდა მტრის იერიშს და ფუშავდა მის გეგმებს. მის გუნდში მწყობრიდან გამოყვანილ იქნა ორი მებრძოლი, მაგრამ იგი ინტენსიურ სროლას განაგრძობდა და თავიდან აიცილა გარემოცვა.

ქვემეხის მეთაური კოპაძე პარტიის წევრია. იგი დაბადებულია ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროში. ამ ცოტა ხნის წინათ მას 22 წელი შეუსრულდა.

სარდლობამ მაღალი შეფასება მისცა შ. კოპაძის საბრძოლო დამსახურებას და დააჯილდოვა იგი წითელი ვარსკვლავის ორდენით.

პ. ყარა-მურზა

სსრ კავშირის მშრომელებმა 2.740 მილიონი მანეთი შეიტანეს სამშობლოს თავდაცვის ფონდში

მშრომელებმა სამშობლოს თავდაცვის ფონდში ...

1.165.000 მანეთის ძვირფასი ნივთები, ...

...

გეგმის გადამეტებით ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია

მახარაძე („კომუნისტის" კორ.). მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკამ 10 დღით ადრე, 20 ივნისისათვის შეასრულა ნახევარი წლის საწარმოო გეგმა. ფაბრიკის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით გამოუშვა ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია. ფაბრიკამ თვითღირებულება შეამცირა 7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაზარდა 18 პროცენტით.

სამამულო ომის პერიოდში ნაყოფიერი მუშაობისათვის ფაბრიკის კოლექტივმა ამ დღეებში საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატისაგან მიიღო რესპუბლიკის გარდამავალი დროშა.

ფაბრიკა სპეციალური დავალებას გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. სტახანოველები ხუხუნაიშვილი, ღლონტი, ჯიქია, კუხიანიძე, სირაძე, გოგიჩაიშვილი, ორლოვა, კავერევცევა ორ-სამ ნორმას იძლევიან.

მახარაძის ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც ქუთაისის ფაბრიკის კოლექტივთან არის შეჯიბრებაში ჩაბმული, თვის ბოლომდე სახელმწიფოს მისცემს კიდევ 350.000 მანეთის პროდუქციას.

ლ. ლოლაძე

გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით

„სამტრესტის" თბილისის № 1 ქარხანამ 20 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. ქარხანამ უზრუნველჰყო პროდუქციის მაღალი ხარისხი და ნახევარი წლის განმავლობაში გეგმის ზევით 120.000 ლიტრი ღვინო გამოუშვა.

ქარხნის მუშაკთა შორის გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში განსაკუთრებით ასახელეს თავი ს. აივაზოვამ, თ. ხუციშვილმა, აბაიშვილმა, ალექსეევამ, გ. ფირანიშვილმა, ნ. ნასტუსენკომ, ა. აბაზოვმა, პაპუაშვილმა, ლებანიძემ და სხვ.

ქარხნის დირექტორი **ქ. ლეკვეიშვილი**

ქარხნის პარტბიუროს მდივანი **ლ. შაქარაშვილი.**

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატში

კრეისერ „კრასნი კრიმის" ეკიპაჟის გვარდიის ეკიპაჟად გარდაქმნის შესახებ

განუწყვეტელ ბრძოლებს ეწეოდა რა გერმანელ დამპყრობლებთან, კრეისერის პირადმა შემადგენლობამ უდიდესი ზარალი მიაყენა ფაშისტთა ჯა-

...

მედგრობისა, გულადობისა, დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის, პირადი შემადგენლობის გმირობისათვის კრეისერ „კრასნი კრიმის" ეკიპაჟ-

...

ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ტრიუგვე ლის დეპეშა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვისადმი

დღეს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირზე გერმანიის თავდასხმის წლისთავზე, ვისწრაფვი დავუმოწმო თქვენს აღმატებულებას ნორვეგიის ხალხისა და მთავრობის ღრმა აღტაცება გმირული ბრძოლით, რასაც რუსი ხალხი ეწეოდა ბარბაროსული და აგრესიული ძალების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ყოველდღიურად აღაფრთოვანებდა ნორვეგიელ ხალხს იმავე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლეიტენანტ შ. კახიანის და უმცროს ლეიტენანტ გ. ჯაბადარის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

ლეიტენანტი შალვა კახიანი მონაწილეობას იღებდა მრავალ ბრძოლაში ფრონტის ყირიმის უბანზე. ჯერ კიდევ პერეკოპთან ბრძოლების დროს, სადაც იგი ორჯერ დაიჭრა, მან თავი გამოიჩინა როგორც საზღვაო ქვეითი ჯარის რაზმის კავშირგაბმულობის საუკეთესო უფროსმა. მწყობრში რომ დაბრუნდა, იგი განაგრძობდა საბჭოთა მიწა-წყლის მამაცურად დაცვას. ამას წინათ მომხდარი ერთ-ერთი ბრძოლის დროს იმ უბანზე, სადაც კახიანი იმყოფებოდა, დაზიანებულ იქნა ტელეფონის ხაზი. კახიანი პირადად ასწორებდა მას მტრის ცეცხლქვეშ, კვლავ დაიჭრა, მაგრამ პოსტი არ დაუტოვებია. სანამ არ დაამთავრა ეს სამუშაო, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბრძოლის მსვლელობისათვის. სარდლობამ იგი წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვა.

ფრონტის ყირიმის უბნის სარდლობამ წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა უმცროსი ლეიტენანტი გიორგი ჯაბადარი, სახელოვანი სტალინური შევარდენი. ამხ. ჯაბადარმა თავისი ბომბდამშენით დიდი ზარალი მიაყენა მტერს. იგი ანადგურებდა მტრის ობიექტებს გალაცში, სულინში. მან მოახდინა თავდასხმები მტრის აეროდრომებზე ოჩაკოვის, ნიკოლაევისა და ხერსონის რაიონებში. ძალზე წარმატებით ანადგურებდა იგი მტრის ფრონტის ხაზს.

პ. ყარა-მურზა

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

24 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

23 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტის სევასტოპოლის უბანზე გრძელდებოდა ბრძოლები მტრის ჭარბ ძალებთან.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ხარკოვის მიმართულების ერთ-ერთ უბანზე გერმანელთა მოტოქვეითმა ჯარმა ტანკების დახმარებით იერიში მოიტანა ჩვენი ჯარების მიერ დაკავებულ დასახლებულ პუნქტზე. გააფთრებული ბრძოლის შედეგად ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს გერმანელთა 13 ტანკი, 3 ქვემეხი და სხვა საჭურველი. მტერმა დიდი ზარალი ნახა ცოცხალი ძალის მხრივ.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედი ჩვენი ნაწილის მებრძოლებმა გერმანელთა ქვეითი ჯარის იერიში მოიგერიეს და მოწინააღმდეგის განლაგებაში შეიჭრნენ. გაჩაღებულ ხელჩართულ ბრძოლაში გაწყვეტილ იქნა 150-ზე მეტი ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ ნაღმსატყორცნი, 6 დაზგის ტყვიამფრქვევი, დიდყალიბიანი ტყვიამფრქვევი, რადიოსადგური, ბევრი გრანატი და ვაზნა.

* * *

მეთაურებმა—ამხ. პეჩორსკიმ, საველიევმა, ტრეგუბენკომ, სემიონოვმა და ახუნოვმა (სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი) ქვეითი ჯარის იარაღის ცეცხლით ჩამოაგდეს გერმანელთა თვითმფრინავი „მესერშმიტ-109". იმავე დღეს ერთ-ერთი „ქვეგანაყოფის წითელარმიელებმა თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჩამოაგდეს მტრის კიდევ ერთი ავიაგამანადგურებელი. გერმანელი მფრინავები, რომლებიც პარაშუტებით გადმოხტნენ, წამოყვანილი არიან ტყვედ.

* * *

მტერთან ბრძოლაში წითელარმიელმა ამხ. სადვაკასოვმა საწვავი ნარევით სავსე ბოთლით ცეცხლი გაუჩინა გერმანელთა ტანკს და ხელის ტყვიამფრქვევით გაჟლიტა 25 ჰიტლერელი. გერმანელთა მიერ გარშემორტყმული ამხ. სადვაკასოვი სროლას მანამდე განაგრძობდა, სანამ მძიმედ არ დაჭრეს. ჰიტლერელმა არამზადებმა დაჭრილი მებრძოლი ტყვედ წაიყვანეს და ცდილობდნენ ცნობები მიეღოთ მისგან ჩვენი ნაწილის შესახებ. მამაცმა მებრძოლმა, მხეცური წამების მიუხედავად, უარი განაცხადა ეპასუხნა. მაშინ გერმანელმა ფაშისტმა ჯალათებმა დაჭრილი წითელარმიელი ტანკის მუხლუხებქვეშ შეაგდეს და გასრისეს. საბჭოთა ხალხი არ დაივიწყებს ჰიტლერელთა ამ ახალ დანაშაულს და შურს იძიებს სამშობლოს ერთგული შვილის—წითელარმიელ სადვაკასოვის სიკვდილისათვის.

* * *

ჩვენმა არტილერისტებმა დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოსპეს გერმანელთა 2 სათვალთვალო პუნქტი, რამდენიმე ტყვიამფრქვევი და ნაღმსატყორცნი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სერჟანტ ადამოვის სნაიპერთა ათეულმა ივნისის 14 დღეში 86 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტა.

* * *

პარტიზანთა ჯგუფმა ამხ. ო-ს მეთაურობით, რომელიც მტრის ზურგში მოქმედებს (ბრიანსკის ფრონტი), ლიანდაგის უბანი დანაღმა რკინიგზის ორ სადგურს შორის. დილით ნაღმებს წააწყდა გერმანელთა სამხედრო მატარებელი. ვაგონების ნამსხვრევებქვეშ დაიღუპა 150-ზე მეტი გერმანელი ფაშისტი ოკუპანტი.

* * *

გერმანიის 23-ე ქვეითი პოლკის ტყვე უნტერ-ოფიცერმა ვილი დ-მ განაცხადა: „ხანგრძლივი და მეტად ძლიერი საარტილერიო ცეცხლის შემდეგ რუსები შეტევაზე გადმოვიდნენ ჩვენს უბანზე. საბჭოთა ტანკებმა ფლანგებიდან შემოუარეს ასეულს და ჩემი ათეული მოსწყვიტეს. ჩვენ ბლინდაჟში ვისხედით და შველას ველოდით. საღამოს გადავწყვიტე დასაზვერავად წავსულიყავ ჩემი ჯარისკაცებიანად. ბლინდაჟის მახლობლად დავინახეთ 50 გერმანელი ჯარისკაცი, რომლებიც ხელაშვერილი იდგნენ რუსების 3 ტანკის წინ. ხელები ავიშვირე მეც. ჩემს მაგალითს მიჰბაძა ათეულის ყველა ჯარისკაცმა. ტყვედ დანებებულთა შორის იყვნენ 1-ლი, მე-2 და მე-3 ასეულების ჯარისკაცები".

* * *

მოკლულ გერმანელ ჯარისკაც ერიხს აღმოაჩნდა თავისი დის წერილი. წერილში ნათქვამია: „გაგიკვირდება, როცა ამ წერილს სხვა ქალაქიდან მიიღებ... მე ბავშვებიანად მშობლებთანა ვარ. ინგლისელებმა სრულიად მოსპეს ლიუბეკი. ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვართ, რადგან ჩვენს ქუჩაზე სულ რამდენიმე სახლი-და დარჩა. ვერ აგიწერ, როგორ ხდებოდა ყოველივე ეს. ყველგან განუწყვეტელი კვნესა ისმოდა. ორშაბათს 1.000-მდე მოკლული იყო. ჯერ კიდევ არ აღმოუჩენიათ ყველა მოკლული. მთელი ქალაქი ცეცხლის ალში იყო გახვეული. ლიუბეკში აღარ არის არც ერთი ქუჩა, არც წყალი, არც განათება, არც გაზი. ყველა გულმოკლულია მწუხარებით. თუ ერთხელ კიდევ რამე ასეთი მოხდა, ყველანი ჭკუაზე შევიშლებით".

* * *

როგორც საქმეს გაცნობილი წრეები იუწყებიან, გერმანიაში კვლავ დააპატიმრეს სასამართლოს მოხელეები. ბერლინში დაპატიმრებულია ფაშისტ მოსამართლეთა მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომლებიც გერმანიის სხვადასხვა ქალაქებიდან გამოიძახეს დედაქალაქში მოხსენების გასაკეთებლად. დაპატიმრებულებს ბრალდებად წაყენებული აქვთ „უხერხემლო დამოკიდებულება იმ ელემენტებისადმი, რომლებიც გამოსთქვამენ ომის გამო უკმაყოფილებას და გერმანიის გამარჯვების რწმენის უქონლობას".

* * *

რუმინეთის პატრიოტებმა დუნაიზე, ქალ. კორაბიასთან, დასწვეს ნავთით დატვირთული კარჭაპი, რომელიც გერმანიაში მიდიოდა.

24 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

24 ივნისის განმავლობაში ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს შეტევაზე გადმოსულ მტრის ჯარებთან.

ფრონტის სევასტოპოლის უბანზე ჩვენმა ჯარებმა მტრის ჭარბი ძალების რამდენიმე იერიში მოიგერიეს.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა გემებმა ბარენცის ზღვაში ჩაძირეს მტრის ტრანსპორტი 4 ათასი ტონა წყალწყვისა.

* * *

23 ივნისის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 36 ტანკი, 95 ავტომანქანა ჯარებითა და ტვირთიანად, 10 მოტოციკლი, 30 საზიდარი სომარ მასალიანად, ჩააჩუმეს საველე და საზენიტო არტილერიის 10 ბატარეა, ააფეთქეს 2 საწყობი სომარ მასალიანად, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს ხუთ ასეულამდე მტრის ქვეითი ჯარი და ერთი ესკადრონი ცხენოსანი ჯარი.

* * *

ხარკოვის მიმართულების ერთ-ერთ უბანზე ჩვენი ჯარები იგერიებდნენ გერმანელთა ქვეითი ჯარის იერიშებს, რომელიც მნიშვნელოვანი რაოდენობის ტანკთა დახმარებით გვიტევდა. ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლის მსვლელობაში დიდი ზარალი მიაყენეს ჰიტლერელებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. სხვა უბანზე მეთაურ ზაბოლოტსკის ქვეგანაყოფებმა დღის განმავლობაში მტრის რამდენიმე იერიში მოიგერია. ბრძოლის ველზე მრავალი მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დარჩა.

* * *

ჩვენმა არტილერისტებმა დასავლეთის ფრონტის ცალკეულ უბნებზე ჩააჩუმეს 4 საარტილერიო და 4 ნაღმსატყორცნი ბატარეა, ააფეთქეს საწყობი/სომარ მასალიანად და მოსპეს მტრის 1.500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილმა ორი დღის განმავლობაში დაანგრია მტრის 10 მიწური საცეცხლე წერტი, მოსპო ქვემეხი, რამდენიმე ტყვიამფრქვევი და ნაღმსატყორცნი. გერმანელებმა 250-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე მტრის ზურგში მოქმედმა მებრძოლთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადაავდო რკინიგზის 2 ეშელონი. დაიმტვრა 2 ორთქლმავალი, 9 ვაგონი სომარ მასალიანად, 7 ვაგონი საინჟინრო ქონებიანად და 6 პლატფორმა ტანკებიანად.

* * *

კიევის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი ამხ. ლ-ს მეთაურობით 3 დღის განმავლობაში ეწეოდა ბრძოლებს გერმანელთა დიდ დამსჯელ რაზმთან. უკანდახევისას პარტიზანებმა ჭაობში შეიტყუეს ჰიტლერელები, რის შემდეგაც ერთდროულად დაარტყეს სამი მხრიდან. საბჭოთა პატრიოტებმა მოსპეს 86 გერმანელი ფაშისტი ოკუპანტი, დასწვეს ტანკეტი, 6 ავტომანქანა და წაართვეს მტერს 3 ავტომანქანა, 4 დაზგისა და 6 ხელის ტყვიამფრქვევი, 100-მდე შაშხანა და ავტომატი, რადიოსადგური და დიდძალი სამარი მასალა.

* * *

95-ე ქვეითი დივიზიის 279-ე ქვეითი პოლკის მე-7 ასეულის უნტერ-ოფიცერმა პაულ ლიუტრინგმა განაცხადა: „ჩვენი ასეული 9 თვის განმავლობაში 10-ჯერ შეივსო. 170 ჯარისკაცისაგან, რომელნიც შარშან ჩემთან ერთად გადმოვიდნენ რუსეთის საზღვარზე, 20-ღა დარჩა. 10 მათგანი ამას წინათ დაბრუნდა ჰოსპიტლიდან. ისინი ნახევრად ინვალიდები გამხდარან და ფაქტიურად აღარ გამოდგებიან სამხედრო სამსახურისათვის".

* * *

უნგრელთა 35-ე ქვეითი პოლკის ტყვედ წამოყვანილმა ჯარისკაცმა სიმონ შ-მ განაცხადა: „ჩვენი პოლკის ეროვნული შემადგენლობა მეტად ჭრელია. მასში 30 პროცენტამდე რუმინელია და 10 პროცენტამდე სერბიელი, რუსინი და ხორვატი. დანარჩენნი უნგრელები არიან. ამას წინათ გერმანელთა სარდლობამ მოწინავე ხაზიდან წაიყვანა ჯარები და უნგრელთა ნაწილები გამოგზავნა აქეთ. ამან დრტვინვა გამოიწვია პოლკში. ჯარისკაცები ამბობენ: „ჩვენ გერმანელები სასიკვდილოდ გვერეკებიან, ხოლო თვითონ ჩვენს ზურგში მოიკალათეს და ყველას დახვრეტენ, ვინც კი უკან დაიხევს". უნგრელი ოფიცრებიც აღშფოთებული არიან გერმანელთა სარდლობის მოქმედებით და აშკარად გამოსთქვამენ თავიანთ უკმაყოფილებას. მე სერბიელი ვარ. ფრონტზე წამოსვლის წინ მამამ ასე დამარიგა: „რუსები ჩვენი ძმები არიან. როგორც კი მოახერხო, ტყვედ დანებდი, მაშინ ცოცხალი გადარჩები. გახსოვდეს, ჩვენი მტრები უნგრელები და გერმანელები იყვნენ და ახლაც არიან, ხოლო რუსები ჩვენი მეგობრები არიანო". პირველი შესაძლებლობისთანავე შევასრულე მამის დარიგება და ტყვედ დავნებდი რუსებს".

* * *

საფრანგეთის პატრიოტები ლავალის მმართველი ხროვის ღალატის მიუხედავად, აძლიერებენ ბრძოლას გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ. ამას წინათ კომპიენში მარინიის საავიაციო მინდორში დასწვეს 5 ანგარი და მთელი მასალა, რაც იქ იყო. შამბლში ააფეთქეს ელექტროსადგური, რომელიც გერმანელთათვის მუშაობდა. პანტენში გრანატი ესროლეს გერმანელთა რაზმს. აფეთქების შედეგად მოკლულია 10 გერმანელი ჯარისკაცი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 24 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა დღეს თემთა პალატაში განაცხადა, რომ რადგანაც ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ 11 ივნისს მის მიერ გაკეთებულ განცხადებას საყოველთაო მოწონება ხვდა წილად, იგი ახლა წინადადებას იძლევა ხელმოსაწერად წარედგინოს მეფეს რატიფიკაციის დოკუმენტი, არ დაელოდონ იმ ვადის გასვლას, რომლის განმავლობაშიც ასეთი ხელშეკრულება ჩვეულებრივად პარლამენტშია განსახილველად.

იდენმა აღნიშნა, რომ ჩვეულებრივ ასეთი ხელშეკრულება პარლამენტში განსახილველად შეაქვთ და მის მიერ მოწონებულად ითვლება, თუ 21 საპარლამენტო დღის განმავლობაში არავინ წავა მის წინააღმდეგ. მაგრამ ახლანდელ გარემოებაში ეს 7 კვირაზე მეტი ხნით გაჭიანურდებოდა, ვინაიდან პარლამენტის სხდომა იშვიათად იმართება. იდენმა განაცხადა: მე ვფიქრობ, თემთა პალატა დაეთანხმება, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს ხელშეკრულების რატიფიკაციაო.

პალატის ყველა პარტიის წარმომადგენელნი ტაშით შეეგებნენ იდენის განცხადებას.

ᲛᲔᲤᲔ ᲒᲔᲝᲠᲒ VI ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲒᲔᲚᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 24 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დიდი ბრიტანეთის მეფე გეორგ VI დღეს ხელი მოაწერა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის იმ ხელშეკრულების რატიფიკაციის სიგელს, რომელიც დაიდო ჰიტლერის გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე.

ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 24 ივნისი (საკდესი). ნიუ-იორკში, მედისონ-სკვერ გარდენში, გაიმართა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის გმირული ბრძოლის წლისთავისადმი მიძღვნილი მასობრივი მიტინგი. ამ მიტინგს, რომელიც რუსეთისათვის ომში დახმარების აღმოჩენის კომიტეტმა მოაწყო, 23 ათასი კაცი დაესწრო.

მიტინგზე გამოვიდა პრეზიდენტ რუზველტის სპეციალური თანაშემწე ჰოპკინსი, რომელმაც რწმენა გამოსთქვა, რომ წითელი არმია ჰიტლერელებს გარეკავს საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან. „რუსეთის არმია აღმოსავლეთის ფრონტზე და ინგლის-ამერიკის არმია სხვა ფრონტებზე,—განაცხადა მან,—სავსებით გაანადგურებენ ჰიტლერის შეიარაღებულ ძალებს". ჰოპკინსმა აღნიშნა, რომ რუზველტი და ჩერჩილი შეტევითი სტრატეგიის გეგმების შესახებ თათბირობენ და „შემიძლია დაგარწმუნოთ,—სთქვა მან,—რომ ეს საქმე ხორციელდება". თანამედროვე მექანიზებული იარაღით აღჭურვილი ამერიკის არმია, რომელიც სამმილიონიანი გაწრთვნილი სახმელეთო ჯარისაგან შესდგება, ამჟამად შეტევითი ოპერაციებისათვის ემზადება.

ჰოპკინსმა მიტინგს უამბო გასული წლის აგვისტოში მოსკოვს თავისი მგზავრობის შესახებ.

„ჩასვლის ღამეს,—სთქვა ჰოპკინსმა,—საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელს შევხვდი. 4 საათის შემდეგ კრემლი დავტოვე დარწმუნებულმა, რომ გერმანიის არმია ლენინგრადსა ან მოსკოვში კი არ დაიზამთრებს, არამედ სუსხიან და დაბურულ ტყეებში, მურმანსკიდან ყირიმამდე გადაჭიმულ ველებში მოუხდება დაზამთრება, რომ მისი ჯარები, რომელთაც კიდურები გაეყინებათ, წყევა-კრულვას შეუთვლიან მკვეხარა ჰიტლერს".

დასასრულ ჰოპკინსმა განაცხადა, რომ რუზველტმა სთხოვა მას გადასცეს მიტინგის მონაწილეებს შემდეგი: „ჩვენ განზრახული გვაქვს დახმარება აღმოუჩინოთ რუსეთს ბრძოლის ველზე, ჩვენი შეიარაღებული ძალები შეტევას დაიწყებენ შესაფერ დროს და შესაფერ ადგილას. რუსეთის ფრონტი არ წაზდება".

მიტინგის მონაწილეები აღფრთოვანებით შეხვდნენ რუზველტის განცხადებას, რომელიც ჰოპკინსმა წაიკითხა.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. ლიტვინოვმა.

სამი უძლიერესი სახელმწიფოს—სსრ კავშირის, ბრიტანეთის იმპერიისა და ამერიკის შეერთებული შტატების დაუშრეტელი რესურსები,—აღნიშნა ამხ. ლიტვინოვმა,—ჰიტლერის გერმანიაზე გამარჯვების გარანტიაა. „ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, რომ ეს რესურსები რაციონალურად და თავის დროზე იქნას გამოყენებული. შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ლონდონსა და ვაშინგტონში მიღწეული შეთანხმებანი ჩვენი ერთობლივი რესურსების მაქსიმალურ და უსწრაფეს ეფექტურ გამოყენებას უზრუნველჰყოფენ".

სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ გრინმა, რომლის განცხადებას იმის შესახებ, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ გაიხსნას მეორე ფრონტი ჰიტლერელთა გასანადგურებლად, მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ლიტვინოვის, ჰოპკინსისა და გრინის გამოსვლა მთელს ამერიკის შეერთებულ შტატებს გადაეცა რადიოთი.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს წევრი რიდი, ქალაქ ნიუ-იორკის მერი ლა გარდია, ჩეხო-სლოვაკიის დესპანი ამერიკის შეერთებულ შტატებში ურბანი და სხვ.

მიტინგზე წაკითხულ იქნა ამერიკის არმიის შტაბის უფროსის—გენერალ მარშალის, ამერიკის ფლოტის მთავარსარდლის—ადმირალ კინგისა და ინგლისის ელჩის ამერიკის შეერთებულ შტატებში—ჰალიფაქსის მისალმებანი საბჭოთა ხალხისა და წითელი არმიისადმი.

მედისონ-სკვერ გარდენში გამართული მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის წლისთავს, „საბჭოთა კავშირისათვის დახმარების დღეს" დაემთხვა, რომელიც მთელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ტარდება.

38 შტატის გუბერნატორებმა და 300-ზე მეტი ქალაქის მერებმა 22 ივნისი „საბჭოთა კავშირისათვის დახმარების დღედ" გამოაცხადეს. „ომში რუსეთისათვის დახმარების აღმოჩენის კომიტეტმა" გამოაქვეყნა ცნობა, რომ მას უკვე 3 მილიონამდე დოლარი აქვს შეგროვებული საბჭოთა კავშირისათვის დახმარების ფონდში.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 23 ივნისი (საკდესი). ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში მთელს ინგლისში გაიმართა მრავალი დემონსტრაცია და მიტინგი, რომლებიც მიეძღვნა სსრ კავშირზე ჰიტლერის გერმანიის ვერაგული თავდასხმის წლისთავს და სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის კავშირის დადებას.

ბირმინჰამს გამართულ დემონსტრაციაში 40 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. დემონსტრაციის შემდეგ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ლორდმა ბივერბრუკმა, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ გვაქვს რუსეთის არმიის რწმენა. ჩვენ გვაქვს რუსი გენერლების უნარის რწმენა, ჩვენ გვაქვს რუსების დივიზიათა საჭურვლის რწმენა. ჩვენ გვაქვს რუს ჯარისკაცთა საბრძოლო ძლიერებისა და მამაცობის რწმენა. ჩვენ გვაქვს რწმენა იმ ხელმძღვანელობისა, რომელსაც სტალინი უწევს საბჭოთა ხალხს". მქუხარე ოვაციით შეეგებნენ ბივერბრუკის სიტყვებს,—„უნდა ვიმოქმედოთ სწრაფად და არ უნდა დავაყოვნოთ საექსპედიციო არმიის გაგზავნა მეორე ფრონტზე ბრძოლისათვის".

ოქსფორდს გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა კაცმა. მასობრივი დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე გლაზგოში, კოვენტრისა და სხვა ქალაქებში.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სსრ კავშირის ხალხთა სამამულო ომის ერთი წლის შედეგებისადმი მიძღვნილ ვრცელ ცნობაში სწერს:

„საბჭოთა ჯარისკაცებმა და საბჭოთა ხალხმა გადაიტანეს ერთი წლის ისეთი ომი, როგორიც არასოდეს არ გამოუცდია წინათ არც ერთ ხალხს. მათი მამაცობა უძლეველია. ამით მათ არა მარტო დაიმსახურეს გაერთიანებული ქვეყნების ყველა ხალხთა აღტაცება, არამედ გამოიწვიეს მხურვალე მისწრაფება იმისადმი, რომ ყოველგვარი დახმარება გავუწიოთ მათ. თითოეული ტანკი, თითოეული თვითმფრინავი და ქვემეხი, რომელიც კი შეიძლება მიაწოდოს ინგლისმა, სხვა ფრონტებზე მისი გადაუდებელი საჭიროების მიუხედავად, რუსეთს იგზავნება. უეჭველია, რუსებმა იციან ამ დახმარების შესახებ. მაგრამ იგი იმდენად უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რასაც თვითონ რუსები აკეთებენ გაერთიანებულ ერთა საქმისათვის, რომ მოკავშირე ხალხებმა უფრო მეტი რამ უნდა გააკეთონ. დიდ იმედებს ამყარებენ იმ განცხადებაზე, რომელსაც შეიცავს კომუნიკე ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების გამო. ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ ორივე მხარეს შორის მიღწეულია სრული თანხმობა 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის შექმნის გადაუდებელ ამოცანათა შესახებ".

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 24 ივნისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის ასიგნებათა კომისიამ მოიწონა კანონპროექტი არმიის საჭიროებისათვის 42.823 მილიონი დოლარის დამატებითი ასიგნებისა საბიუჯეტო წელში, რომელიც 1 ივლისს იწყება. ასეთი დიდი თანხის ასიგნება ჯერ არასოდეს არ მომხდარა ერთჯერად.

ამერიკის არმიის საინტენდანტო სამსახურის უფროსმა, გენერალმა სომერველმა განაცხადა: წელს არმიის რიცხვი აყვანილ უნდა იქნას 3.600 ათას კაცამდე, ხოლო 1943 წლის პირველი ნახევრის დამლევისათვის—4,5 მილიონ კაცამდე.

ამერიკის არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდალ გენერალ არნოლდის განცხადებით, საავიაციო მრეწველობა 1942-1943 წლებში გამოუშვებს სულ ცოტა 148 ათას მარტო საბრძოლო თვითმფრინავს.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, სულ 1940 წლის ივნისიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო საჭიროებისათვის ასიგნებულია 228 მილიარდი დოლარი.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲔᲡᲮᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 24 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ დღისით „ბოსტონის" ბომბდამშენებმა „სპიტფაირთა" თანხლებით კვლავ მიიტანეს იერიში დიუნკერკის დოკებზე. ბომბები პირდაპირ მოხვდა დოკებსა და ნავმისადგომს. ყველა თვითმფრინავი მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზაში.

იმავე დღის საღამოს ინგლისის ავიაციამ იერიში მიიტანა მტრის აეროდრომზე ბრეტანში.

23 ივნისს ღამით ინგლისის ბომბდამშენებმა მტრის წყლები დანაღმეს. ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს მტრის აეროდრომებზე და რკინიგზის ობიექტებზე ჰოლანდიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთში.

იმავე ღამეს მტრის რამდენიმე თვითმფრინავი ინგლისის სანაპირო რაიონებში გამოჩნდა. ჩამოყრილ ბომბებს ზიანი არ მოუყენებია, მსხვერპლი არ არის. ჩამოგდებულია მტრის ერთი ბომბდამშენი.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 23 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო ამერიკის ოფიციალურ კომუნიკეს იმოწმებს და იუწყება, რომ იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ომის დაწყებიდან მოკავშირეთა საზღვაო ძალებმა წყნარ ოკეანეში ჩაძირეს იაპონიის 291 გემი, მათ შორის 1 სახაზო გემი, 4 ავიანოსანი, 18 კრეისერი, 26 საესკადრო ნაღმოსანი, 27 წყალქვეშა ნავი, 82 ტრანსპორტი, 65 სავაჭრო გემი.

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲠᲔᲨᲝᲑᲔᲜ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 24 ივნისი (საკდესი). ამერიკული გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი" სწერს, რომ ამ უკანასკნელ ხანს ფაშისტური გერმანიის კონტროლი ესპანეთისადმი მნიშვნელოვნად გაძლიერდა. გერმანიის მუდმივი სამხედრო წარმომადგენელი მონაწილეობას იღებს ესპანეთის გენერალური შტაბის ყველა სხდომაზე. მადრიდის აეროპორტში უამრავი გერმანელი მფრინავი, „სპეციალისტი" და გესტაპოს აგენტია. ესპანეთ-პორტუგალიის საზღვარზე, აგრეთვე ყველა სასტუმროში გესტაპოს აგენტები არიან, რომელთაც სამოქალაქო ტანსაცმელი აცვიათ. ესპანეთი სავსეა გერმანელი „ტურისტებით", რომელთა უმეტესობა გასაწვევი ასაკისაა. ზოგიერთი ცნობის თანახმად, იქ 100-350 ათასი ასეთი „ტურისტია". სურსათის მწვავე ნაკლებობის მიუხედავად, ესპანეთი ზეთისხილისა და ბრინჯის მოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს ჰგზავნის გერმანიაში. შიმშილი ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ფრანკოს ესპანეთში. ამას წინათ ბარსელონის გუბერნატორმა კორეამ განაცხადა: „ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ ბარსელონაში 200 ათას ოჯახს პური არ მოეპოვება. 1941 წელს მარტო ბარსელონაში 18 ათასი კაცი დაიხოცა შიმშილით". იმის მიუხედავად, რომ ესპანეთში შიმშილი მეფობს, იქ შეტანილი მარცვლეულიც კი გერმანიაში იგზავნება.

ჰიტლერელთა აღვირახსნილი თარეში ესპანელი ხალხის ღრმა აღშფოთებას იწვევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არმიის გენერლის საბჭოთა კავშირის გმირ გ. ქ. ჟუკოვის ბიუსტი, შესრულებული სტალინური პრემიის ლაურეატის, ორდენოსანი მოქანდაკის ხ. კაკაბაძის მიერ.

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲨᲘ

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ. 23 ივნისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). შორს, ფრონტის ხაზს იქით, პარტიზანთა მხარეში, წარმატებით მოქმედებენ სახალხო შურისმგებელთა რაზმები. ისინი გააფთრებულ ბრძოლას ეწევიან ლენინგრადის ოლქის რამდენიმე რაიონში, რომლებიც დაკავებულია მტრის მიერ. უკვე რამდენიმე თვეა, რაც პარტიზანები ვრცელ ტერიტორიაზე განუწყვეტლივ, ზედიზედ აყენებენ მძიმე დარტყმებს მოწინააღმდეგის ჯარებსა და კომუნიკაციებს.

საბჭოთა რაიონების და პარტიზანთა თვით მთელი მხარის არსებობა ფაშისტ დამპყრობლების აუწერელ გაცოფებას იწვევს. ისინი აქ სასტიკად ბომბავენ მშვიდობიან მოსახლეობას, სოფლებს ერთდროულად უსევენ 30 თვითმფრინავს, აქ გზავნიან კარგად შეიარაღებულ სპეციალურ ნაწილებს. მაგრამ ვერაფერმა ვერ გასტეხა საბჭოთა პატრიოტების საბრძოლო სულისკვეთება.

ამას წინათ გერმანელებმა პარტიზანთა მხარეში გამოგზავნეს თითქმის მთელი დივიზია 30 ტანკით, ტანკეტებით, ჯავშნიანი მანქანებითა და მძიმე ნაღმსატყორცნებით. ივნისში ამ დამსჯელმა ექსპედიციამ დიდი შემოტევა დაიწყო. მძლავრი საარტილერიო დაშენის შემდეგ სამი მხრიდან დაიძრნენ ტანკები და მეავტომატეთა დესანტი. მათ ყოველ მიმართულებაზე მოჰყვებოდა 400-დან 600-მდე ქვეითი ჯარისკაცი. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა.

ბრძოლა განსაკუთრებით შეუპოვარი იყო კ-ს რაიონში. აქ დამსჯელნი ფიქრობდნენ მოეხდინათ მთავარი დარტყმა, გარსშემორტყმოდნენ პარტიზანებს და ნაწილ-ნაწილ გაეჟლიტათ ისინი. პარტიზანები მედგრად იცავდნენ თავს. მათ მძლავრი ხერგები შეჰქმნეს ტყეში. ფაშისტთა ნაწილები, ძლიერ წინააღმდეგობას რომ წააწყდნენ, გაჩერდნენ. მაშინ რაზმის მეთაურმა ამხ. ბ-მ თავისი ძირითადი ძალები შეაგროვა და ფლანგიდან დაარტყა მტერს.

უეცარმა დარტყმამ თავზარი დასცა გათავხედებულ დამსჯელებს. მათი რიგები შედრკნენ. ამ ბრძოლაში პარტიზანებმა ტანკსაწინააღმდეგო თოფებით მოსპეს 6 ტანკი და ხელთ იგდეს 4. ერთ-ერთი პარტიზანული ქვეგანაყოფის მეთაური გერმანელთა იმ მანქანაზე შეხტა, რომელიც ის-იყო პარტიზანებმა ხელთ იგდეს, და ცეცხლი დაუშინა დამსჯელებს, პანიკით შეპყრობილნი რომ გარბოდნენ.

დილიდან შუაღამემდე გრძელდებოდა ბრძოლა. გერმანელებმა მარტო მოკლულთა სახით 200-ზე მეტი კაცი დაჰკარგეს. არანაკლებ წარმატებით მოქმედებდნენ სახალხო შურისმგებელნი სხვა უბნებზედაც.

გერმანელთა დამსჯელი ჯარები, მარცხი რომ განიცადეს, უკვე აღარ ახორციელებენ არავითარ აქტიურ საბრძოლო მოქმედებას. თვის განმავლობაში პარტიზანთა მხარეში გაჟლეტილია 2.600-მდე ფაშისტი, მოსპობილია მრავალი ტანკი, 8 ავტომანქანა სამარ მასალიანად, 25 ბლინდაჟი, 2 საწყობი ყუმბარებიანად და ნაღმებიანად. პარტიზანებმა ხელთ იგდეს ტანკები, ტყვიამფრქვევები, ავტომატები, შაშხანები, ცხენები და სხვა სამხედრო ქონება. მოეწყო სამხედრო ეშელონების 5 მარცხი და ერთი ჯავშნიანი მატარებლის მარცხი, აფეთქებულია რკინიგზის 4 ხიდი.

Ი. ᲓᲔᲜᲘᲡᲝᲕᲘ

ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲜᲐᲦᲛᲡᲐᲢᲧᲝᲠᲪᲜᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲔᲙᲔᲡ ᲘᲔᲠᲘᲨᲖᲔ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ, 23 ივნისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). დაღამებისას № ნაწილის უბანზე მტერმა ძლიერი საარტილერიო სროლა ასტეხა. ჩვენი მეთვალთვალენი ყურადღებით აკვირდებოდნენ, თუ რა ხდებოდა მტრის განლაგებაში. მალე მათ შეამჩნიეს, რომ გერმანელთა ჯგუფმა, რომელიც მიწას ეკვროდა, გასასვლელი გააკეთა თავის მავთულის ღობეში. ჩვენი ნაწილი მყისვე მოემზადა ბრძოლისათვის. დილის 4 საათზე მტრის მხრიდან მოისმა გერმანელის ხმამაღალი ყვირილი. იქ გერმანელი ოფიცერი რევოლვერს იქნევდა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადარბოდა და ჯარისკაცებს ბრძანებას აძლევდა წინ წამოსულიყვნენ. მაგრამ ჯარისკაცები არ ემორჩილებოდნენ. ოფიცერი გაჰქრა, რამდენიმე წუთში კი გერმანელმა ნაღმტყორცნელებმა ცეცხლი დაუშინეს თავდაცვის თავიანთ წინა კიდეს. მალე ნაღმსატყორცნის ცეცხლი შეწყდა, და გერმანელებმა იწყეს მოკლულთა და დაჭრილთა წაყვანა. შემდეგ კვლავ გამოჩნდა გერმანელი ოფიცერი და იერიში დაიწყო. იერიში მოგერიებულ იქნა თოფის, ნაღმსატყორცნისა და არტილერიის მძლავრი ცეცხლით. ფაშისტებმა უკან დაიხიეს დიდი ზარალით.

Პოლკის კომისარი Გ. ᲢᲝᲚᲝᲙᲝᲚᲜᲘᲙᲝᲕᲘ

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ Ⴢ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘ

25 ივნისს, სალ. 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ., № 41) შესდგება ამხ. ლარცულიანის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„პარტიის ბრძოლა სტალინური ხუთწლედების წლებში სსრ კავშირის სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად".**

26 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ., № 41) შესდგება ამხ. **პავჩინსკის (რუბენის)** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები გერმანიის ყაჩაღური იმპერიალიზმის გეგმებში".**

ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში მოაწყო კრიტიკოს ა. ფეერალსკის მოხსენება თემაზე—„სამამულო ომი და თეატრი". მომხსენებელმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნებას ომის პირობებში. მან მოიგონა სამოქალაქო ომის დროს მსახიობების მიერ გაწეული დიდი მუშაობა და დაწვრილებით ილაპარაკა ფრონტზე კონცერტების გამართვის შესახებ. შემდეგ მომხსენებელმა განიხილა მოსკოვის და თბილისის თეატრების მუშაობა სამამულო ომის დღეებში. დამსწრეებმა მოხსენება გულთბილად მიიღეს.

ᲞᲐᲠᲢᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1523018, გაცემული ბაგრატ ბიჭიას-ძე თევდორაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚ ᲞᲐᲠᲙᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲮᲝᲞᲔᲠᲐ—25 ივნისს—„შოპენიანა", 26 ივნისს—„კარმენ". **ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ** — 25 ივნისს — „დავა", 26 ივნისს — „ფლანდრია". **ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ**—25 ივნისს—„მეფე ერეკლე", 26 ივნისს —„ხანუმა". **ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲡ**—25 ივნისს — „როზ-მარი", 26 ივნისს—„სილვა". **ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘ**—ყოველდღე საცირკო ატრაქციონი, ბაღში სახული ორკესტრა, ჯაზი, ევროპული ცეკვები.

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახ.—„საბრძოლო კინოკრებული № 9", **ოქტომბერი** — „ჯარისკაცი ფრონტიდან მოდიოდა", **დამკვრელი** (ზამთრის)—„მტკიცე ხასიათის ქალიშვილი", **დამკვრელი** (საზაფხულო) და **26 კომ. სახ.**—„მაშენკა", **კომკავშირელი** — „საბრძოლო კინოკრებული № 9", **სპარტაკი**—„დაბრუნება", **ლუქსემბურგის სახ.**—„სიმღერა სიყვარულზე", **კომინტერნი** — „დარიკო", **მეცნიერება და ცოდნა**—„მესაზღვრეები".

პასუხისმგებელი რედაქტორი
Ვ. ᲮᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲙᲝᲛᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲝᲓᲔᲖᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲝᲞᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1942-43 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ტექნიკუმს აქვს ორი სექტორი ქართული და რუსული ორი განყოფილებით.

1. ტოპოგრაფიული განყოფილება ამზადებს: ა) ტექნიკოს-გეოდეზისტებს გეოდეზიური საფუძვლების შექმნის დარგში. ბ) ტექნიკოს-ტოპოგრაფებს, აეროფოტოტოპოგრაფიული სამუშაოების საწარმოებლად.

2. საგზაო-საამშენებლო ამზადებს: საგზაო მშენებლობის და გზის ყოველგვარ საინჟინრო ნაგებობათა ტექნიკოსებს.

სწავლა ტოპოგრაფიულ სპეციალობაზე გრძელდება სამი წელი, საგზაოზე—ორი.

პირველ კურსზე მიიღებიან მოქალაქენი, რომელთაც დასრულებული აქვთ საშუალო სკოლის არანაკლებ 7 კლასისა.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები მიიღებიან მეორე კურსზე იმ პირობით, თუ სპეციალურ საგნებს ჩააბარებენ წლის განმავლობაში.

განცხადებები მიიღება 15 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით საერთო წესით.

განცხადებები მიიღება დირექტორის სახელზე პირადად ან ფოსტით. ცნობების გაცემა და განცხადებების მიღება იწარმოებს 9 საათიდან 17 საათამდე.

მისამართი: თბილისი, ვაკე, მარის ქ. № 27. ტელ № 3-20-88.

131 ტექნიკუმის დირექტორი პ. ა. ჩხეიძე

საქ. კურორტთა მთავარი სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან აბასთუმნის კურორტთა სამმართველოს დირექტორის

ვალერიან (ვალიკო) ტარასის-ძე სალაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/VI, ქ. ზესტაფონში. 149

თბილისის მე-16 პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან პოლიკლინიკის მთავარ ექიმ გოცაძის დის

ნინო მიხეილის-ასულ ჭანკვეტაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/VI, ქ. ზესტაფონში, ჯაფარიძის ქ., № 27 789

თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის ადმინისტრაცია და პედაგოგიური პერსონალი იუწყებიან ლუბა პატეიშვილის დის

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ-ᲐᲡᲣᲚ ᲞᲐᲢᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ-ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲘᲡ

გარდაცვალებას. დაკრძალვა ჩოხატაურში. 781

№ სამხედრო ნაწილის უფროსშემადგენლობა და პარტბიურო იუწყებიან ნ. ვაშაკიძის მამის

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲞᲔᲢᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲘᲡ

გარდაცვალებას. 788

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲰᲔᲡᲘᲡ ᲘᲦᲑᲐᲚᲘ

ინგლისის ერთ-ერთ საპატიმროში ზის მსოფლიოში ყველაზე უფრო სასაცილო პატიმარი, რომელსაც საიმედო მცველები ჰყავს მიყენებული. ეს არის ჰესი. მას წილად ხვდა მეტად კომიკური კილო შეეტანა ჩვენი დროის უაღრესად დრამატიულ ამბებში. შესაძლოა, იგი ერთადერთი თვალსაჩინო ჰიტლერელია, რომელიც ჰიტლერიზმს ამოიჭამს. იგი ინგლისში ისე ზის, თითქოს კონსერვის ქილაშიაო, და ომის შემდეგ შესაძლო იქნება მისი ნახვა, როგორც კარგად შენახული ფაშისტის ერთადერთი ეგზემპლარისა.

ამასთან ჰესი ერთადერთი ცოცხალი ძეგლია „ჯვაროსანთა ლაშქრობისა", რომელიც ასეთი აურზაურით წამოიწყო ჰიტლერმა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ და ასე სამარცხვინოდ კი ჩაიშალა. რა დარჩა ამ ბინძური ტაკიმასხარული წამოწყებიდან? მარტო ჰესი—ინგლისურ გალიაში მჯდომი გერმანელი ფაშისტური ჩიტუნია.

ერთ წელზე მეტი ხნის წინათ იგი ციდან ჩამოფრინდა შოტლანდიის მიწა-წყალზე, რათა ინგლისელებისათვის ეუწყებინა „ჯვაროსანთა ლაშქრობის" ამბავი და ჩვენს წინააღმდეგ აემხედრებინა ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები. მაგრამ ციდან ჩამოფრენა სამარცხვინო მარცხით დამთავრდა. ჰესმა ინგლისში სულელები ვერ იპოვნა. თვითონ და მისი პატრონი აღმოჩნდა გასულელებული.

ინგლისში ჰესს თავაზიანად ექცევიან. მას საკითხავად აძლევენ ინგლისურ გაზეთებს, რომლებშიც აღწერილია ყველა ის მარცხი, რაც ჩვენს ქვეყანაში ემართება ჰიტლერს. ეს ძალიან მსუბუქი და სრულიად მცირე წამებაა ნაცადი ფაშისტი მგლისათვის. ჰესმა ყველაზე სამძიმოდ 12 ივნისის დღე გაატარა. ამ დღეს მან შეიტყო ლონდონსა და ვაშინგტონში ამხ. მოლოტოვის მგზავრობის, ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების და ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის შეთანხმების ამბავი.

ჰესი თავის საკუთარ ბედს ვერ დაემდურება. იგი ცუდად როდი მოეწყო. უეჭველია, ბევრი ფაშისტი მეგობარი შეჰნატრის მას. მაგალითად, დარე. როგორც ცნობილია იგი დაპატიმრებულია და ჩაკეტილში ჰყავს ჰიმლერს. რასაკვირველია, მას ერჩივნა ინგლისის საპატიმროში მჯდარიყო. ეს არც თუ იმდენად პატრიოტულია გერმანელ ფაშისტთა თვალსაზრისით, მაგრამ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის გაცილებით უფრო უშიშარი იქნებოდა.

ახლოვდება დღე, როდესაც ჰიტლერელი ბანდიტები აქეთ-იქით მიაწყდებიან, რომ გასაქცევი ადგილი იპოვნონ. 1918 წელს კაიზერი ვილჰელმ II ჰოლანდიაში დაიმალა. ჰიტლერსა და მის ბანდას გასაქცევი ადგილი არა აქვს. სიძულვილი და შურისგება მოელით მათ დედამიწის ყოველ კუთხეში. შესაძლოა, თავის ინგლისურ თავშესაფარში მჯდომმა ჰესმა მაშინ ეშმაკური ღიმილით სთქვას: აი, მთელი მსოფლიო გასულელებულ ტაკიმასხარას მიწოდებს, მე კი ერთადერთი წინდახედული ფაშისტი გამოვდექიო...

Დ. ᲖᲐᲡᲚᲐᲕᲡᲙᲘ

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 5954